

ექა კაჭარავა

შიომღვიმის მონასტრის სენიორალური კუთვნილების საკითხისათვის შუა საუკუნეებში

მონყობისა და მმართველობის მიხედვით საქართველოში არსებობდა სამეფო, საკათალიკოსო და საფეოდალო მონასტრები. ჩვენი ნაშრომი მნიშვნელოვანი ქართული ქრისტიანული ცენტრის — შიომღვიმის მონასტრის სენიორალური კუთვნილების გარკვევას ისახავს მიზნად.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შიომღვიმე, ვიდრე მას დავით აღმაშენებელი სამეფოდ აქცევდა, საკათალიკოსო მონასტერი იყო [1,67-68]. ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილეთ აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ დამონმებული ყველა ცნობა. ერთ-ერთი ასეთი არგუმენტია იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ქართლის კათალიკოსის მიერ მიღება და ზედაზნის მთაზე დაფუძნების ნების დართვა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ზედაზნის და არა მღვიმის მონასტრის დაარსებას. ამასთანავე საეკლესიო კანონმდებლობით ადგილობრივი ეპისკოპოსის „განზრახვის“, „თანაჯერჩინების“, განწესებული ლოცვის, სამონასტრო ადგილის კურთხევის და ეპისკოპოსის ხელით ჯვრის აღმართვის გარეშე მონასტრის დაარსება შეუძლებელი იყო [2,190-270], რაც ცხადია კარგად იქნებოდა ცნობილი ანტიოქიიდან მოსული მეუღაბნოე მამებისათვის.

შიომღვიმისა და სხვა მონასტრების დაარსებასთან დაკავშირებით წყარო გადმოგვცემს, რომ იოანე ზედაზნელმა გადაწყვიტა „განეთესნა მონაფეები ყოველთა ადგილთა შინა ქართლისათა“ და მათი თანხლებით ნებართვისათვის ევლავიოს კათალიკოსს ეწვია. კურთხევა-ნებართვისათვის ქართლის კათალიკოსთან ყველა ასუ-

რელი მამა მივიდა, თვით ზედაზნის დაარსებაც კათალიკოსის კურთხევით განხორციელდა, რაც საეკლესიო კანონმდებლობით ბუნებრივად გვესახება. ამდენად შიოს კურთხევა გამონაკლისად ვერ მიიჩნევა; წინააღმდეგ შემთხვევაში ასურელ მამათაგან დაარსებული ყველა მონასტერი საკათალიკოსოდ უნდა ჩავთვალოთ, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ასევე უსაფუძვლოდ გვეჩვენება შიოს ბერად შედგომასთან დაკავშირებული ცნობის დამოწმება [1,70]. საქმე ეხება შიოს გადაწყვეტილებას, გამოეყოს ძმობას და დაყუდებით იცხოვროს, რის გამოც ნებართვისათვის მცხეთაში, კათალიკოსთან მიდის. ამ ცნობაზე დაყრდნობით მღვიმის მონასტრის სტატუსზე მსჯელობა ნაადრევია, ვინაიდან აქ საუბარი მხოლოდ ბერის პირად გადაწყვეტილებაზე დაყუდებულ ცხოვრებასთან დაკავშირებით და არა მონასტრის დაარსებაზე.

მომდევნო არგუმენტად მოტანილია კათალიკოს სარმიანეს მიერ შიომღვიმეში წირვის ჩატარების ფაქტი. წყაროს თანახმად „საწსენებელსა დიდებულისა მამისა შიოსსა იყო კრებაჲ ერისაჲ მონასტერსა მღვიმისასა და მუნ იყო მეფე და ყოველნი მთავარნი ჩვეულებისაებრ და სარმიანე მამამთავარი ყოველთა თანა ეპისკოპოზთა თვსთა“ [3,210]. აქ საუბარია განსაკუთრებულ დღესასწაულზე — შიოს ხსენების დღეზე — (9 მაისი — ე.კ.). სხვა ცნობით, ამ დღეს ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი და მისი მხლებელნი „წლითი წლად აღვიდიან... დღესასწაულობად საწსენებელისა ამის“ (შიოს — ე.კ.). როგორც ჩანს, ამ დღეს წმ. მამის ხსოვნისათვის პატივის მისაგებად მღვიმის მონასტერში „ჩვეულებისაებრ“ იკრიბებოდნენ მეფე, მთავარნი, კათალიკოსი ეპისკოპოსებითურთ და ერი. ჩვენი აზრით, კათალიკოსიც საგანგებო წირვას ასრულებდა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მღვიმეში კათალიკოსის გარდა სხვა მოქმედი ეპისკოპოსი არ ჩანს და საფიქრებელია, მონასტრის მაკურთხეველი ეპისკოპოსი კათალიკოსი იყო. ამასვე უნდა გულისხმობდეს სტეფანოზ ერისმთავრის მღვიმელი ბერების მისამართით ნათქვამი „სცანით ეპისკოპოსისა თქუენისა მოსლვაჲ, ესეოდენ აღიდეთ იგი“ [3,201], თუმცა მონასტრის მაკურთხეველ ეპისკოპოსად კათალიკოსის მიჩნევა არ ნიშნავს, რომ ის ამავედროულად მონასტრის პატრონიცაა.

ჩვენ განვიხილეთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ყველა ის ცნობა და მოსაზრება, რის საფუძველზეც შიომღვიმე საკათალიკოსო მონასტრადაა მიჩნეული, ვიდრე დავით აღმაშენებელი მას სამეფოდ აქცევდა. ამჯერად შევეცდებით არსებულ საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით გავარკვიოთ

მღვიმის სენიორალური დამოკიდებულების რეალური ხასიათი.

მონასტრის დამაარსებლის, შიოს სიცოცხლეშივე, ევაგრეს მოსანახულებლად მისულმა ფარსმან მეფემ მონასტერს შესწირა „ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა ჴელითა თვისითა თავისუფლებამათი“ [3,111], ამას გარდა მეფემ მღვიმეს შეწირა „ოცდაათი ლიტრა ოქროსი ეკლესიათა მათთვის სჯმრად. და განაჩინა ზედამდგომელნი საქმისანი, რათა სწრაფით ყონ აღშენებამ ეკლესიათა...“ [3.111-112]. როგორც ჩანს, მეფეს შეწირულება იმთავითვე თავისუფლების პირობით გაუცია და მშენებლობაც მისი ინიციატივითა და მატერიალური შეწევნით დაიწყო. ფარსმანმავე უბოძა მონასტერს „ბარძიმი ოქროსა და ფეშხუემი და სხვა ყოველი სამსახურებელი ვერცხლისა, ჯუარი დიდი ოქროსა და სახარება...“ [3.111-112].

ნიშანდობლივია, რომ მღვიმეში წამოწყებული სამონასტრო მშენებლობის შესახებ კათალიკოსს მეფემ აცნობა „და იხარებდა ფრიად სულითა მეფე და ყოველი ერი ქართლისა“ [3,112]. მშენებლობის დასრულებაც ევაგრემ პირველ ყოვლისა მეფეს ამცნო: „აღესრულა ნებამ ღმრთისა და შენი მეფეო: ან უკვე ყავ სატფურება სახლისა მის ღმრთისა“ [3,112]. მეფემაც თავის მხრივ „მიუმცნო კათალიკოსსა მაკარის და ყოველთა ეპისკოპოსთა რათა კრება ყონ... სატფურებისათვის მათა ეკლესიათასა“ [3,112]. ეკლესიის „სატფურებაში“ (კურთხევაში — ე.კ.) მონაწილეობენ კათალიკოსი, ეპისკოპოსები, იოანე ზედაზნელი და სხვა ასურელი მამები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარსმან მეფე შესაწირავს მონასტერს შეუვალობის პირობით უბოძებს, სამონასტრო მშენებლობისა და კათალიკოსის მიერ მონასტრის კურთხევის ინიციატორი თავადაა, ისევე ზრუნავს მონასტრის საეკლესიო ინვენტარით აღჭურვაზე და მატერიალურ უზრუნველყოფაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონასტერი იმთავითვე სამეფო კუთვნილებაა.

ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ეპიზოდს, რომელიც სტეფანოზ ქართლის ერისმთავრისა და ბართლომე კათალიკოსის შიომღვიმეში სტუმრობას შეეხება. მღვიმელმა მამებმა კათალიკოსს უმეტესი პატივი მიაგეს, რამაც ერისმთავრის წყრომა გამოიწვია. მონასტრის წინამძღვარმა ერისმთავარს განუმარტა, რომ მათ კათალიკოსი მიიღეს როგორც „ჩუელ არიან წესთაგან ეკლესიისათა“ [3,203], ე.ი. როგორც ეს საზოგადოდ საეკლესიო ეტიკეტით იყო განსაზღვრული. ცხადია, ერისმთავრის მონასტრისადმი პრეტენზიას კონკრეტული საფუძველი უნდა ჰქონოდა, კერძოდ, მისი, როგორც „პატრონის“ უპირატესობა. მიუხედავად წინამძღვრის განმარტებისა, შეურაცხყოფილმა ერისმთავარმა წაართვა მღვი-

მის მონასტერს ადრე ბოძებული „ორნი აგარაკნი“. საეჭვოა, რომ საკათალიკოსო მონასტრისადმი ერისმთავარს მსგავსი პრეტენზიები ჰქონოდა, ან მსგავსი შევიწროება შეეხებდა.

ვფიქრობთ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტეფანოზ ერისმთავარი, ნყაროს დახასიათებით, „ღმრთის მოყვარების მჩემებელი“, რომელიც „ფრიად შორს იყო ღმრთისა მსგავსებისაგან“ და „ეკლესიათა ფრიად ძვრს უყოფდა“, წმინდა შიოს ხსენების დღეს „წლითინლად“ ეწვეოდა მონასტერს წმინდა მამისათვის პატივის მისაგებად. სავარაუდოა, რომ ერისმთავარი, როგორც მონასტრის პატრონი, ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ამ სადღესასწაულო საეკლესიო ცერემონიაში. ალბათ ამითვე აიხსნება ერისმთავრის მღვიმის მატერიალურ შეწევნაზე ზრუნვა. საბოლოოდ სტეფანოზმა დაუბრუნა მონასტერს წართმეული მამული, დამატებით უბოძა „ორნი დაბანი დაბათაგან სამეფოთა ურჩეულესნი“ და დაამტკიცა „წელითნერილი“ „წელითა თვისითა“.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის შემდგომ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ ფლობს ქართლის იმ ტერიტორიას, სადაც შიომღვიმის მონასტერია, იცვლება მისი სენიორიც. IX საუკუნიდან, მას შემდეგ რაც კახეთის სამთავრომ მდ. ქსანი დაიღო საზღვრად, შიომღვიმე კახ მეფეთა საკუთრებაში უნდა ვივარაუდოთ. ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტთა თანახმად მონასტრის სამეფო სტატუსი შენარჩუნებულია, იცვლება მხოლოდ მისი „პატრონი“.

ფაენელის მღვიმისადმი დაწერილ საბუთში (IX ს. მიწურული), ჩანს, რომ შიომღვიმე აფხაზთა მეფეების კონსტანტინე III-ის (893-922) და ბაგრატის, კახ ქორეპისკოპთა — ფადლა I-სა (881-892) და კვირიკე I-ის (892-918) პატრონობას აღიარებს, მიქაელ მემღვიმე მათგან გამოითხოვს შეუვალობას: „მივიღე თავისუფლებისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატისი, კახთ მეფე ფალლესი და კუირიკესი“ [4, 16].

თუმცა ჩვენ არ გავაჩნია სათანადო საბუთი, უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც ბაგრატ III იპყრობს კახეთ-ჰერეთს (1008-1010), მღვიმის მონასტერი, ვიდრე გიორგი I XI ს-ის პირველ მეოთხედში დაკარგავს მას, ქართლის მეფეთა საკუთრებაში უნდა იყოს. მომდევნო პერიოდში შიომღვიმე სავარაუდოდ კვლავ კახ მეფეთა დაქვემდებარებაშია. ამის დასტურია გიორგი III-ის 1170 წლის შიომღვიმის შეუვალობის განახლების სიგელი [4, 67-68], სადაც მონასტრის მამულებს შორის დასახელებულია: „... ივანწმიდაჲ, ძუელადვე გოდერძისა შემოწირული; დაოთი, კუირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული, ალაჭინი, ხახუილაგისგან შემოწირული“...

6. ბერძენიშვილის აზრით, ეს გოდერძი შესაძლოა გაგიკ კახთა მეფის (1037-1050) თანამედროვე ერისთავია, ასევე კახი უნდა იყოს ხახვილა, „გორთა ჯუარის ციხის პატრონი“, და რაც მთავარია კვირიკე კახთა მეფის (1919-1037) შენირულება, მღვიმის კახ მეფეთა საკუთრებაში ყოფნას უნდა გულისხმობდეს [5,342]. ამდენად, XI ს-ის 10-იან 50-იან წლებში მღვიმის მონასტერი კახ მეფეთა პატრონობას უნდა აღიარებდეს.

ამასვე ადასტურებს 1189-1200 წლებით დათარიღებული საბუთი „დანერილი მღვიმის კრებულისა ტოხაესძეებისადმი“ [4,82-83], საიდანაც ირკვევა, რომ კვირიკე კახთა მეფეს შიომღვიმის მონასტერში სამწირველო დაუარსებია, განუჩენია წესდება და მწირველად ადილობრივი ბერი, ბასილი ტოხაესძე დაუნიშნავს: „სამწირველო გბოძებოდა სიგლითა მკუიდრად კვრიკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით და მოგაწსენეთ სამამულოდ და მკკდრად, ამად, რომე თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილიყო კვრიკე კახთა მეფისაჲ ბასილი ტოხაესძე და მას მისითა მოძღურობითა შექმონირვინა წმიდისა შიოხეთს, რჩევით, მათათა შინა დაოთი და ბართათა შინა რუეთი.

და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცავად ერთი ფუძე გლეხი დაოთს — ვაწშამაესძე და რუეთს — უშიშარაესძე“ . . .

აქ გასათვალისწინებელია, როგორც კერძოდ კვირიკე კახთა მეფისაგან (1010-1037) დაოთისა და რუეთის შეწირვის ფაქტი, ასევე ისიც, რომ სამწირველოს პატრონი ზემოაღნიშნული უფლებებით მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობდა, როდესაც მონასტერი მას ეკუთვნოდა [6,316; 7,103].

XI საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის შიომღვიმე ქართლის მეფეთა საკუთრებაა. ამას უნდა მოწმობდეს როგორც ბაგრატ IV-ის (1027-1072) 60-იან წლებში კახეთ-ჰერეთის უდიდესი ნაწილის დაპყრობის ფაქტი, ასევე მისი 1057-1058 წლებით დათარიღებული სიგელი მღვიმის ლავრისადმი შეწირულების შესახებ [4,35], სადაც მონასტრის თავისუფლების პირობა შემდეგნაირადაა აღნიშნული: „გაუთავისუფლეთ ყოვლისა შესავალისა და გამოსავალისაგან; საწელმწიფოისა, საერისთავოისა. . . და ყოვლისა ღმრთისა დაბადებულისა შესავალისა და გამოსავალისაგან“. ამ უკანასკნელში ალბათ საკათალიკოსო ვალდებულებაც უნდა იგულისხმებოდეს.

შიომღვიმე გიორგი II-ის გამეფების (1072) დროისათვის კვლავ ქართლის მეფეებს უნდა ეკუთვნოდეს, აღნიშნულის დასტურია გიორგი II-ის 1073 წლის სიგელი მღვიმისადმი [4,45]. (ნიშანდობლივია, რომ ამავე 1073 წელს ივანე ბაღვაში კახელების დახმარებით ქსნის პირს იკაეებს). აღნიშნული სიგელიდან კარგად ჩანს ადრე

გაცემულ „პირველ სიგელთა“ არსებობა და სიმრავლე, გამცემთა ვინაობა, ასევე ისიც, რომ მონასტერი თავისუფალი იყო ყოველგვარ ვალდებულებათაგან. გიორგი II კანონიერ საფუძველზე „ვითა თუით პირველთა სიგელთა შინა სწერიან“, აღუდგენს მონასტერს თავისუფლებას; „ვითა არაჲ ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიწდია. . . ყოველისაგანვე გაგუთავისუფლებიან“. მეფე ამავე საბუთში საგანგებოდ აღნიშნავს, მონასტრის გათავისუფლებას იმ იძულებით ვალდებულებათაგან, რაც მას „ჟამთა შლილობისათა შინა ოდესმე მძლავრთა და უღმრთოთა კაცთა“ დააკისრეს.

აღნიშნული საკითხის კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის 1123-1124 წლებით დათარიღებული შიომღვიმისადმი გაცემული ანდერძი [4,52]. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ანდერძის ეპიზოდი, სადაც გადმოცემულია შემდეგი: „თვთ ძუელთა და ანინდელთა ქართლისა კათალიკოზთ ჴელნი ვითარად ჰქონან, არცა ქართლისა კათალიკოზისა საქმე არს მღვიმესა ზედა, არცა ვის სხვსა ეპისკოპოსისა“, საიდანაც შესაძლოა დავასკვნათ, რომ ისევე, როგორც დავითის გამეფებამდე, ქართლის კათალიკოსებს მღვიმის მონასტერზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მისი გამეფების შემდგომაც არსებული დამოკიდებულება უნდა შენარჩუნებულიყო. მონასტრის ასეთი მდგომარეობა რომ შემდგომშიაც შენარჩუნებულია, კარგად ჩანს გიორგი III-ის 1170 წლის სიგელიდან: „დაგუიწერია გაჩენით წმიდისა უდაბნოისა მღვიმისათუის, ნუ-მცა-ვის უკადრებია წყენაჲ ნუცა მათთა საქონელთაი... ნუ ქართლისა კათალიკოზთა, ნუცა სხუასა ეპისკოპოსსა“ [4,70].

ჩვენი მოსაზრების საფუძვლიანობისათვის ასევე მნიშვნელოვანია „განჩინება საეკლესიო კრებისა შიომღვიმის შეუვალობის შესახებ“ [8,130], რომელიც უკანასკნელი დათარიღებით XIII ს-ის 20-იან წლებს მიაკუთვნეს. აღნიშნული განჩინება საეკლესიო კრებას და არსენ ქართლის კათოლიკოსს „განუჩენიათ ბჭობითა“, საიდანაც ჩანს, რომ მღვიმის სტატუსთან დაკავშირებით მოწვეული იყო საგანგებო საეკლესიო კრება. საბუთში გადმოცემულია შემდეგი: „არა უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქართლისა კათალიკოზთა, თუინიერ ლოცვისა და კურთხევისაგან, არცა ქართლის მთავარეპისკოპოზთა, არცა ვის სხუასა ეპისკოპოზსა, არცა მთავარსა ვისმე. . . ვინცა ესე დაწერილი და გაგებული წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს, ანუ იგიცა დაწერილნი უწინდელნი — წმიდისა მამამთავრისა იოვანესი ქართლისა კათალიკოზისა, და რაოდენნი სხუანი შემდგომითი შემდგომად სხენან, ჴელითწერილნი სანატრელთა მამამთავართანი, და წმიდისა მამამთავრისა

მელქიზედეკისი. . . გინა დიდისა დავითისა ანდერძი და სიგლები მათი შეცვალებულყოს ჰრისხავს ღმერთი დაუსაბამოი, წმიდაი მამაი შიოი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი“. გარდა იმისა, რომ საბუთში მღვიმის მონასტრის კათალიკოსის, მთავარეპისკოპოსისა და ეპისკოპოსთაგან ხელშეუხებლობაა დამონმებული, ამასთანავე კარგად ჩანს მონასტრის ადრინდელი მდგომარეობის სურათიც. საბუთში მოხსენიებულ კათალიკოსთა — მელქისედეკ I (1010-1033), იოანე ოქროპირის (1033-1048), გაბრიელ III-ის (XI ს. 70-იანი წწ. — XI ს-ის დასასრული) ზეობა დავით აღმაშენებლის მეფობამდეა დადასტურებული. არსენ კათალიკოსიც ჯერ მათ მიერ „სანატრელთა ჴელთა“ დამტკიცებულ სიგელებს ახსენებს და მხოლოდ შემდეგ იმონმებს დავითის ანდერძსა და სიგელებს. უნდა ვიფიქროთ, ეს „დანერილნი“ მღვიმისა და კათალიკოსის ურთიერთმიმართების ხასიათს შეეხებოდა და მღვიმის საკათალიკოსო დამოკიდებულებისაგან თავისუფლებას მოწმობდა. აღნიშნული საბუთის თანახმად, ქართლის კათალიკოსს თვინიერ ლოცვა-კურთხევისა „არა უც საქმე მღუიმესა თანა“.

ქართლის კათალიკოსს მღვიმის საქმეებში ჩაურევლობას მოწმობს „შიომღვიმის წინამძღვრის რიგი გაჩენილი მამა სვიმეონის მიერ“ XII ს-ისა, სადაც გადმოცემულია შემდეგი: „წინამძღუარისა, მოძღუარისა და დეკანოზთა ჴელთა არს ეკლესიისა საქმე და ძმათა სულიერთა. ამათ სამთა ჴელთა არის ეკლესიის საქმე. . .“ [9, 130], ამასვე აღნიშნავს ზემოდამონმებული XIII ს-ის საეკლესიო გაჩინებაც: „მამაჲ მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა განაგებდეს“ [8, 130].

შიომღვიმის მონასტერში წინამძღვრის დანიშვნის სამი ნესი მოქმედებდა: მონასტრის დამაარსებლის მიერ დანიშვნა, წილის ყრა და წინამორბედი წინამძღვრის მიერ მომდევნოს დანიშვნა [10, 226]. როგორც ჩანს, მონასტერი ამ მხრივაც თავისუფალია, მხოლოდ დავითის ანდერძით, არჩეული წინამძღვარი საბოლოოდ მეფემ უნდა დაამტკიცოს: „. . . სხუაჲ განაჩინონ და ჩუჴნსა დარბაზსა მოიყვანონ და ჩუჴნ არგანი მოვაჴსენოთ და შევჴვედროთ მონასტერი“ [4, 58], ე.ი. მეფე, როგორც მონასტრის პატრონი, ახალ წინამძღვარს კვერთხს გადასცემდა და მონასტერს ჩააბარებდა.

მონასტრის კათალიკოსისადმი კუთვნილების შემთხვევაში, მათ შორის ურთიერთობა სენიორალურ-ვასალური უნდა ყოფილიყო, რაც ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში არსად დასტურდება.

მღვიმის კუთვნილი ყმა-მამული ადრიდანვე შეუვალობით სარგებლობდა. ამასთან დაკავშირებით უნდა დავიმოწმოთ „ანდერძი წმ. შიოჲსი“, რომელიც დავით აღმაშენებლის სიგელშია დაცული,

სადაც ნათქვამია „არცა ვის სხუასა საქმე უც მღვმესა ქუაბთა, ვითა იგი თვთ სანატრელსა მამისა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია — უფალი მღვმისა ღმერთია, მეუფე ნმიდაჲ შიოჲ“ [4,57]. საეკლესიო სენიორიებში ქონების იურიდიულ მფლობელად ის ნმინდანია წარმოდგენილი, რომლის სახელზეცაა დაფუძნებული მონასტერი და ყოველგვარი შეწირულებაც მის სახელზე შედის.

დავით აღმაშენებლის ანდერძი, ვფიქრობთ, მღვიმის სამეფო სტატუსის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ნიშანდობლივი დადასტურებაა.

IX-XII სს-ში კახეთის სამთავრო არაგვიდან დასავლეთით, ქსნის ხეობის ჩათვლით ფლობს ტერიტორიას. მტკვრის მარცხენა სანაპირო მუხრანის ველიდან (მდ. ქსნიდან) ვიდრე ჯვარ ავჭალამდე კახეთის საზღვარშია მოქცეული [11,513].

კახეთის დიდგვარიანი ფეოდალის, ძაგან აბულეთისძის ფეოდალური სახლი არაგვისპირის ქვეყნების (ხერკი, მუხრანი) უშუალო მფლობელია. ძაგანის სახლი სამოხელეოდ მიღებული ქვეყნის სამემკვიდრეოდ დაუფლებასა და ხერკი-მუხრანისაგან თავის სამთავროს შექმნას ცდილობს [5,344,354]. ძაგანსვე ეკუთვნის ზედაზნის ციხე. აღნიშნულის შესახებ დავითი თავის მღვიმისადმი ანდერძში წერს: „ოდეს ზედაზნისა ციხე და მუხრანი ძუჭლითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძაჲ, მით, რომელ სხუათაცა ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩუჴნი ერთგულობა.

ან ძაგანმან სადგომად საებისკოპოსონიცა უდიდესნი გარნა სამთავროდ, თვთ ადრითგან მამაობასა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ და მცხეთისა, საქონებელნი მრავალნი და ემჭირნეს და წილკანი საყდრისა მონასტერისა რაცა იყო, მთასა ციხე, მარანი, ანუ მატური იგი სოფელი და მღვმე მონასტერი, შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვთ“ [4,57]. აქედანვე ჩანს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა ძაგანი შიომღვიმეზეც აცხადებს პრეტენზიას. შიომღვიმეს, როგორც სამეფო მონასტერს, განსაკუთრებით დიდი საქონებელიც გააჩნდა მუხრანში, თრიალეთსა და მანგლისის ხევს, ქართლის გაღმა მხარეში [5,339], მონასტერს მუხრანითურთ ქართლისა და კახეთის მეფეთა გარდა, აფხაზთა მეფეებიც მუდამ ეძებდენ [5,339].

მღვიმელ ბერთაგან ძაგანის შეპყრობისა და დავითისათვის გადაცემის ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში უმთავრესად მონასტრის მხრივ მეფის ცენტრალიზებული პოლიტიკის მხარდაჭერითაა ახსნილი. ჩვენის აზრით, ძაგანის მხრიდან მღვიმის დაპატრონება, მონასტრის საფეოდალოდ ქცევასა და სამეფო მონას-

ტრის სტატუსის შესაბამის პრივილეგიათა გაუქმებას ნიშნავდა. ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ დავითი ამ ინიციატივას მღვიმის კრებულს მიაწერს და უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს საქმე ცალმხრივი ინიციატივის შედეგი არ იქნებოდა და ის სავსებით შეეფერებოდა როგორც მეფის მომხრე ბერების სურვილს, აგრეთვე მის დიდ ზრახვებს, საქართველოს გაერთიანების საქმეს რომ გულისხმობდა.

ჩვენც სავსებით ვეთანხმებით მოსაზრებას, რომელიც დიდი ფეოდალის შეპყრობის ინიციატივას მონასტრის კრებულს მიაწერს, რაც, მიგვაჩნია, კიდევ ერთი დასტურია ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდისა იმის თაობაზე, რომ კრებული წინააღმდეგია სამეფო მონასტრის საფეოდალო საკუთრებაში გადაცემისა და შესაბამის ინიციატივასაც იჩენს, რაც სრულიად ეთანხმება მეფის ცენტრალიზებული პოლიტიკის ინტერესებს.

საგანგებო ყურადღების ღირსია შიომღვიმის სასამართლო შეუვალობის საკითხი. ჩვეულებრივ დამნაშავეს სამეფო ან საკათალიკოსო უწყება ასამართლებდა. გამონაკლისის სახით შიომღვიმეს ყმათა გასამართლების უფლებამოსილება გააჩნდა [12,39]. ამასთან დაკავშირებით დავითის ანდერძში გადმოცემულია შემდეგი: „ვითა წინამძღუარსა და მოუნიჭებია ეკლესიისა იოვანეს, ქართლისა კათალიკოსსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა, სამჯულო სამრებლოც არს ყოველგან, თვთ მემღვმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჭმაროს“ [4,67], ამდენად, მონასტრისათვის სასამართლო შეუვალობა დავით მეფემდე კათალიკოს იოანეს მიუნიჭებია. ამასვე ადასტურებს გიორგი III-ის მღვიმისადმი გაცემული სიგელიც [4,67]. მართალია, იოანე ქართლის კათალიკოსი დავით IV-ის თანამედროვეა, მაგრამ მღვიმისათვის სასამართლო შეუვალობის სიგელი მას უნდა გაეცა უფრო ადრე, ვიდრე დავითის ანდერძი შედგებოდა [13,40]. საეჭვოა, რომ საკათალიკოსო მონასტრისათვის კათალიკოსს სასამართლო შეუვალობა მიენიჭებინა. სასამართლო შეუვალობა გარკვეული სოციალური შინაარსის მატარებელი მოვლენაა. მსგავსი უპირატესობა ახასიათებს მონასტერს, როგორც თავისებურ სენიორიას [12,34-40].

საინტერესოა მღვიმის, როგორც სამეფო მონასტრის, პატრონისადმი დამოკიდებულების ხასიათი. ამასთან დაკავშირებით დავითის ანდერძში აღნიშნულია, რომ „თვნიერ მეფეთა სანირავისა არაჲ საქმე ყოფილა მღვმესათანა და არც ვის ან უც საქმე, თვნიერ ლოცვისა და შეწირვისა“ [4,58], საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ მღვიმეს მეფეთათვის წირვა-ლოცვის გარდა ადრეც არაფერი

ეკისრებოდა. ანალოგიური შინაარსის ცნობა მოიპოვება გიორგი III-ის შიომღვიმისადმი გაცემულ სიგელშიც: „პირველად თუით იგი უდაბნოი მღუიმე, ვითა ყოვლითურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია“ [4,68]. აქვე უნდა დავიმონწმოთ ზემოგანხილული „განჩინება საეკლესიო კრებისა შიომღვიმის შეუვალობის შესახებ“, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „ვითა დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა დაეითის ანდერძში გაცემით სწერია, კმა არს წმიდისა ამის უდაბნოისათუის. . . მათნი ღმრთივგუირგუინოსანი მეფენი“ [8,130].

ამდენად, როგორც ჩანს, შიომღვიმის მონასტრის მეფისადმი, როგორც უზენაესი პატრონისადმი სენიორალური დამოკიდებულება სიმბოლური ხასიათისა იყო. მონასტერს სენიორისადმი სასულიერო მომსახურება და გარკვეული ძღვენი — მისართმეველი — ეკისრებოდა, რაც ასე გამოიყურებოდა: „ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთხვნენ, სამის სეფისკუ რი, ერთი ფიალა საზედაშე და ფარჩითა კაპარი გკველოგიონ, მთავარმან მემღვმემან მოიღოს ჯუარი მისი — მას გვაამბორონ“ [4,58].

ცხადია, მონასტრის ასეთი თავისუფლება მუდმივად სტაბილური ვერ იქნებოდა. ის დროდადრო ირღვეოდა „ჟამთა შლილობისას“, „ძღაერთა და უღმრთოთა“ ჩარევის შედეგად.

განხილულ წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ მღვიმის მონასტერი ადრიდანვე თავისუფალი უნდა ყოფილიყო საკათალიკოსო და საეპარქიო დამოკიდებულებისაგან, შესაბამისად საკათალიკოსო — სამწყსო გამოსაღებისაგან, მღვიმის მაკურთხეველი ეპისკოპოსი კათალიკოსი იყო, მონასტერი შეუვალი იყო საკათალიკოსო სასამართლო უწყებისაგან და დამოუკიდებელი საშინაო მართვა-გამგეობის მხრივ. ის თვით ირჩევდა წინამძღვარს. რაც შეეხება სამეფო ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხს, შიომღვიმე ცნობდა მეფის, როგორც პატრონის უზენაესობას, თუმცა ის ამავდროულად თავისუფალი იყო სამეფო ხელისუფლებისაგან სასამართლოს წარმოების მხრივ, თავისუფალი იყო სახელმწიფო, თუ სამეფო გადასახადისაგან, სამეფო მოხელეებს მღვიმეზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მონასტერი საშინაო საქმეთა მართვა-გამგეობაში სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი იყო. მღვიმე მეფეთა სალოცავი მონასტერი იყო და მას მეფისადმი, როგორც უზენაესი პატრონისადმი მხოლოდ სიმბოლური ხასიათის ძღვენი და სულიერი სამსახური მართებდა.

ვფიქრობთ, შესაძლოა დავასკვნათ, რომ VI-XIV საუკუნეებში

შიომღვიმის მონასტერი თავისუფალი იყო საკათალიკოსო-საეპარქიო დამოკიდებულებისაგან და ვიდრე გიორგი ბრწყინვალე მას დიდგვაროვან ფეოდალს, ზევდგინიძე-ამილახვარს უწყალობებდა, მონასტერი სამეფო საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. არსებულ ცნობათა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შიომღვიმის მდგომარეობა განსაკუთრებული და სხვა მონასტერთაგან გამორჩეულია. მის ასეთ გამორჩეულობას შესაბამისი დასაყრდენი გააჩნია და ასეთად ჩვენ სამეფო ხელისუფლება მიგვაჩნია.

ლიტერატურა

1. ბ. ლომინაძე — საკანდიდატო დისერტაცია, ქართული სენიორიის ისტორიიდან, თბ., 1949.
2. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975.
3. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1955.
4. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1975.
5. ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
6. ბ. ლომინაძე — სამწიგნულო XIII საუკუნეში, მიმოხილველი I, თბ., 1949.
7. თ. პაპუაშვილი — რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.
8. ე. სილოგავა — დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძი დამონმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამონმება ძველ ქართულ საბუთებში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია I, 1990.
9. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც. თბ., 1970.
10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, [V-X], თბ., 1964.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
12. ბ. ლომინაძე — შიომღვიმე, 1953.
13. ა. გოგოლაძე — საკანდიდატო დისერტაცია „დავით აღმაშენებლის 1123-24 წლის ანდერძი შიომღვიმისადმი, როგორც საისტორიო წყარო“, თბ., 1992.

ЭКА КАЧАРАВА
К ВОПРОСУ О СЕНЬОРАЛЬНОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ МОНАСТЫРЯ
ШИОМГВИМЕ В СРЕДНИЕ ВЕКА

Резюме

Статья ставит целью определить вопрос о сеньоральной принадлежности Шиомгвиме. В связи с отмеченным в научной литературе высказано мнение о том, что Шиомгвиме, до того как его Давид Строитель превратил в царский монастырь, принадлежал католикоосу. В предлагаемом труде на основе документальных и исторических источников, а также с учетом соответствующей научной литературы отрицается принадлежность монастыря церковной епархии и подтверждается мнение, что Шиомгвиме изначально был царским монастырем. Очевидно, что монастырь принадлежал сначала царям Картли, затем — правителям Картли, в зависимости от изменения политических границ страны — царям Картли и Кахети, Абхазии.

Недостаток документальных данных, порой, затрудняет уточнение вышесказанного, но, по возможности установлено, кому принадлежал монастырь в тот или иной период. В труде рассмотрено также привилегированное положение Шиомгвиме как царского монастыря, характер взаимоотношений между духовными и светскими владельцами монастыря.

EKA KACHARAVA
ON THE SENIORAL BELONGING OF THE SHIOMGVIME MONASTERY IN
THE MIDDLE AGES

Summary

The paper aims at shedding light on the question of the senioral belonging (the patron of the monastery) of Shiomgvime. In this connection a view has been advanced in the scholarly literature, according to which Shiomgvime, before its turning into a royal monastery by David the Builder, constituted a catholicosate monastery. The present study, based on relevant documentary and historical evidence and taking into consideration corresponding scholarly literature, rejects the catholicosate-diocesan dependence of the monastery and argues that Shiomgvime must have been a royal monastery from the very beginning. The kings of Kartli appear to have been the patrons of Shiomgvime, then the Erismtavaris of Kartli and, in accordance with the change of political borders of the country, kings of Kartli, Kakheti and Abkhazia.

Due to the lack of appropriate evidence, it is often difficult to determine this; within the limits of possibility, the identity of the patron of the monastery during this or that period is determined.

The paper also deals with the distinguished and privileged condition of Shiomgvime as a royal monastery, as well as with the character of relations with church and secular authorities.